

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის საბჭოს გაფართოებული სხდომის

ოქმი № 6

ქ. თბილისი 5/02/2018

სხდომას ესწრებოდნენ:

ტრისტან გულბიანი - პროფესორი, მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი, სხდომის
თავჯდომარე;

მანანა მნათობიშვილი - პროფესორი, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი;

ნინო ლორთქიფანიძე - სხდომის მდივანი;

ქეთევან ქობალია - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

პროგრამის აკადემიური პერსონალი:

პროფესორი ლიანა კაკაშვილი, პროფესორი ქეთევან ინასარიძე, ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ბერიძე, ასისტენტ-პროფესორი მანუჩარ დვალი, ასისტენტ-პროფესორი მერაბ
მეტრეველი, ასოცირებული პროფესორი თამაზ ჯაში, ასისტენტ-პროფესორი მერაბ
მაისურაძე, ასოცირებული პროფესორი ელისო მურვანიძე.

დღის წესრიგი:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების
განხილვა;
2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების
განხილვა;
3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკადემიური პერსონალის შეხედულებების
კვლევის შედეგების განხილვა;

მოისმინეს: სხდომის თავჯდომარის ტრისტან გულბიანის ინფორმაცია ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მოსამზადებელი ერთიანი საგანმანათლებლო
პროგრამის სტუდენტთა კვლევის მონაცემების განხილვის შესახებ. მან აღნიშნა, რომ
კვლევის შედეგად მიღებული მონაცემით სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება
გამახვილდეს პედაგოგიურ და პრაქტიკულ დისციპლინებზე, განსაკუთრებით კი
სპორტული თამაშების საკონტაქტო საათების ოდენობაზე. მომხსენებელმა სტუდენტების
მიერ შევსებული კითხვარების საფუძველზე, წამოაყენა წინადადება პრაქტიკული საგნების
საათობრივ დატვირთვაში ცვლილების შეტანის თაობაზე. კერძოდ, სპორტული თამაშების
საგნებში კალათბურთი/ფრენბურთისა და ხელბურთი/ფეხბურთის მოდულებისთვის

საკონტაქტო საათების რაოდენობა 44 საათიდან გაიზარდოს 60 საათამდე. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

მოწინააღმდეგე: 0

დადგინდეს: სტუდენტთა კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სპორტული თამაშების მოდულურ საგნებში კალათბურთი/ფრენბურთი და ხელბურთი/ფეხბურთი საკონტაქტო საათების რაოდენობა 44-ის ნაცვლად გაიზარდოს 60 საათამდე.

მოისმინეს: სხდომის თავჯდომარემ საბჭოს მოახსენა მეორე საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის შედეგად დამსაქმებელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საჭიროა მომავალი კურსდამთავრებული ფლობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის უნარებს. აქედან გამომდინარე, სხდომის თავჯდომარემ დამსაქმებელთა ინტერესები გათვალისწინებით წამოაყენა წინადადება, პროგრამაში შემავალ საგანს - „სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება“ (რომელსაც დათმობილი ჰქონდა 30 საათი) მეტი დრო დაეთმოს და იგი განისაზღვროს 45 საათით. აღნიშნული საკითხიც დადგა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

მოწინააღმდეგე: 0

დადგინდეს: დამსაქმებელთა მოთხოვნის საფუძველზე და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო საგნის - „სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება“ საკონტაქტო საათები გაიზარდოს და განისაზღვროს 45 საათით.

მოისმინეს: სხდომის თავჯდომარემ ტრისტან გულბიანმა წამოაყენა წინადადება საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკადემიური პერსონალის შეხედულებების კვლევის შედეგების მიმოხილვის შესახებ. აკადემიური პერსონალის მიერ გამოყოფილი იყო სასწავლო პროგრამაში სემესტრული სწავლებისას არსებული საგნების წინაპირობების გათვალისწინებით თანმიმდევრობის დაცვის აუცილებლობის შესახებ. თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში საჭირო იყო სემესტრებში საგანთა გადადგილება. კერძოდ, პედაგოგიური პრაქტიკა პროგრამაში დაგეგმილია მეორე სემესტრში, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა სპორტული თამაშები ისწავლებოდა პირველ სემესტრში, ხოლო თეორიული საგანი „კლასის მართვა“-ს სწავლება განხორციელდეს მეორე სემესტრში. ამ საკითხზეც ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

მოწინააღმდეგე: 0

დადგინდეს: აკადემიური პერსონალის მოთხოვნის საფუძველზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა მოსამზადებელ ერთწლიან პროგრამაში პედაგოგიური პრაქტიკის მეორე სემესტრში არსებობის გამო, პრაქტიკული დისციპლინის საგნები - „სპორტული თამაშები“, ისწავლებოდეს პირველ სემესტრში, ხოლო თეორიული საგანი- „კლასის მართვა“ სწავლება განხორციელდეს მეორე სემესტრში.

თავჯდომარე:



ტრისტან გულბიანი

სხდომის მდივანი:

ნინო ლორთქიფანიძე